ოქმი N11

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის რიგგარეშე სხდომისა

ქ. ხობი

2020 წლის 5 ოქტომბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 21 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილებაში პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ჯ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ცატავა, ა. ხუნჯუა, კ. ნასარაია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. ბერაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

დ. ბერაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარეობს საქმისწარმოების ახალი ავტომატიზებული ელექტრონული სისტემის დანერგვის პროცესი, რომლის ამოქმედებაც ნაცვლად 5 ოქტომბრისა დაგეგმილია მიმდინარე წლის 12 ოქტომბერს და ამავე თარიღიდან რეალურ რეჟიმში გაეშვება ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ ელექტრონული პროგრამა - „ელექტრონული მმართველობის ერთიანი სისტემა - MSDA". საქმისწარმოების ახალ ელექტრონულ პროგრამაზე გადასვლისა და ამ პროგრამის მეშვეობით სრულფასოვანი საქმისწარმოების, ასევე - სხვა სახის ელექტრონული სერვისების მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა მიღებისა და

დამუშავების მიზნით, საჭიროა სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან სათანადო ხელშეკრულების გაფორმება, რაც მიმდინარე პროცესის გათვალისწინებით შესაძლებლობის ფარგლებში შეზღუდულ ვადებში უნდა განხორციელდეს. ასევე იცვლება მუხლი, რომელიც ეხება ერთიანი საქმისწარმოების პროგრამაში სწორი და უტყუარი მონაცემების აღრიცხვის მიზნით სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან პერსონალური მონაცემების მიღებისა და დამუშავების პროცედურებს. ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი სახით მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ცატავა, ა. ხუნჯუა, კ. ნასარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N13 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილებაში პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: დ. ბერაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და კომისიის საერთო დასკვნა განსახილველ საკითხთან და დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-3 საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთ ვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მიმდინარეობს საქმისწარმოების

ახალი ავტომატიზებული ელექტრონული სისტემის დანერგვის პროცესი, რაც სრულდება მიმდინარე წლის 12 ოქტომბერს და ამავე თარიღიდან რეალურ რეჟიმში გაეშვება ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ ელექტრონული პროგრამა - „ელექტრონული მმართველობის ერთიანი სისტემა - MSDA". საქმისწარმოების ახალ ელექტრონულ პროგრამაზე გადასვლისა და ამ პროგრამის მეშვეობით სრულფასოვანი საქმისწარმოების, ასევე - სხვა სახის ელექტრონული სერვისების მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა მიღებისა და დამუშავების მიზნით, საჭიროა სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან სათანადო ხელშეკრულების გაფორმება, რაც მიმდინარე პროცესის გათვალისწინებით შესაძლებლობის ფარგლებში შეზღუდულ ვადებში უნდა განხორციელდეს. საკრებულოს რეგლამენტს ემატება მუხლი, რომელიც ეხება ერთიანი საქმისწარმოების პროგრამაში სწორი და უტყუარი მონაცემების აღრიცხვის მიზნით სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან პერსონალური მონაცემების მიღებისა და დამუშავების პროცედურებს. შესაბამისი ცვლილება შედის ასევე საკრებულოს აპარატის დებულებაში ელექტრონული პროგრამის შეცვლასთან გამომდინარე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის მიერ მომზადდა დადგენილებების პროექტები: „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის №59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი სახით მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ცატავა, ა. ხუნჯუა, კ. ნასარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N14 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ჯ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი)

მოისმინეს: ჯ. ბერაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ცატავა, ა. ხუნჯუა, კ. ნასარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N15 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2020 წლის 5 ოქტომბრის რიგგარეშე სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. დოდო გაბუნია
4. დავით ბერაია
5. თეა გელანტია
6. მერაბ ფილიპია
7. კახა ლატარია
8. ბექა მამაცაშვილი
9. აბელი ქირია
10. ფრიდონი შონია
11. აკაკი ხურცლავა
12. გოჩა ჯობავა
13. დავით ცინაძე
14. კქახა მიქაბერიძე
15. გოჩა სიჭინავა
16. მზია ლემონჯარია
17. ნიკოლოზ ვეკუა
18. გენადი ქაძანაია
19. კობა გოქაძე
20. შადიმან ჭილაია
21. გია წულაია